



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 9 22 0001586785



12/12/2022

**ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის  
განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 27 იანვრის N 75694 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 18 ნოემბრის N 1477532 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 22 ნოემბრის N 1493429 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 დეკემბრის N01-05-04/182 დადგენილების შესაბამისად სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

**ვბრძანებ :**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2022 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის პირველ იანვრამდე 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის

სტუდენტებს, რომლებსაც 2021–2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ის რექტორის 2022 წლის 11 მარტის N 248549 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2022 წლის 11 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 81%-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;

**4.** სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვა. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

**5.** თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;

**6.** ამ ბრძანების შესაბამისად, სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან:

- სამშენებლო ფაკულტეტი – 70 სტუდენტი;
- ენერგეტიკის ფაკულტეტი – 59 სტუდენტი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 34 სტუდენტი;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 20 სტუდენტი;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი – 34 სტუდენტი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 40 სტუდენტი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი – 74 სტუდენტი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 109 სტუდენტი;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 5 სტუდენტი;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 74 სტუდენტი;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 57 სტუდენტი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი - 30 სტუდენტი;
- მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 2 სტუდენტი.

**7.** სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

**8.** ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდეს და გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;

**9.** ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

**10.** ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;

**11.** ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;

**12.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი  
კლიმიაშვილი ლევან

25/1